



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის, სასამართლო სხდომის დანიშვნის, მესამე პირების ჩაბმისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ

6 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. რუსთავი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ონიანი

მოსარჩელე - ა (ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
წარმომადგენელი - ვასილ ჟიჟილაშვილი, გიორგი ანთაძე


მოპასუხე - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია

დავის საგანი: რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 04 ნოემბრის N060/2020 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა;
N20 რუსთავის ოლქის N12.20.61, N12.20.05, N12.20.11, N12.20.87, N12.20.86 და N12.20.52 საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და შესწორების ოქმების ბათილად ცნობა;
N20 რუსთავის ოლქის N12.20.61, N12.20.05, N12.20.11, N12.20.87, N12.20.86 და N12.20.52 საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერებისა და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ხელახალი გადათვლა.
N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 03 ნოემბრის N057/2020 განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა;
N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის N12.20.61, N12.20.05, N12.20.11, N12.20.86 N12.20.52 საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის, ასევე N12.20.87 საარჩევნო უბნის ყველა კომისიის წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დავალება.

სასამართლომ განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 06 ნოემბერს სარჩელით მომართა ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა ვასილ ჟიჟილაშვილმა, გიორგი ანთაძემ - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ და მოითხოვა რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 04 ნოემბრის N060/2020 განკარგულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომელიც



1. არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებლის ვასილ ჟიჟიაშვილის (ოლქში რეგ. N505) საჩივარი N12.20.61 (პროპორციული), N12.20.05 (პროპორციული), N12.20.11 (პროპორციული), N12.20.87 (პროპორციული და მაჟორიტარული), N12.20.86 (პროპორციული), და N12.20.52 (პროპორციული) საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობისა და ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერებისა და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ხელახლა გადათვლის ნაწილში.
2. ბათილად იქნეს ცნობილი N20 რუსთავის ოლქის N12.20.61, N12.20.05, N12.20.11, N12.20.87, N12.20.86 და N12.20.52 საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და შესწორების ოქმები.
3. ხელახლა მოხდეს N20 რუსთავის ოლქის N12.20.61, N12.20.05, N12.20.11, N12.20.87, N12.20.86 და N12.20.52 საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერებისა და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის გადათვლა.
4. ბათილად იქნეს ცნობილი N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 03 ნოემბრის N057/2020 განკარგულების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები.
5. დაევალოს N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას დააკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა N12.20.61, N12.20.05, N12.20.11, N12.20.86 N12.20.52 საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებსა და მდივნებს და N12.20.87 საარჩევნო უბნის ყველა კომისიის წევრს, რომელიც არჩევნების დღეს ახორციელებდა სამსახურებრივ მოვალეობას.


სასამართლომ შეამოწმა სარჩელი თანდართული მასალებით და მიიჩნევს, რომ იგი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26² მუხლის შესაბამისად სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებამოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი



ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი საქმის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით, №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს ამავე კომისიის 2020 წლის 04 ნოემბრის №060/2020 და 2020 წლის 03 ნოემბრის №057/2020 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები სრულად; შემაჯამებელი და შესწორების ოქმები და ამავე კომისიის №12.20.05; №12.20.11; №12.20.52; №12.20.61; №12.20.86; №12.20.87 საუბნო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

მითითებული ნორმის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის მოპასუხის ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა.


სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ სასარჩელო განცხადებასა და თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირებად ჩაბმულნი უნდა იქნენ:

№20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის №12.20.05; №12.20.11; №12.20.52; №12.20.61; №12.20.86; №12.20.87 საუბნო საარჩევნო კომისია, ასევე პოლიტიკური პარტიები: (პარტია) „თეთრები“, „ბაქრამე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“, „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „მომავალი საქართველო“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“, „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „მშრომელთა სოციალისტური პარტია“, „მოდრაობა თავისუფალი საქართველოსათვის“, „რეფორმერი“, „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“, „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“, „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო (კახა კუჭავა, გიორგი წულაია)“, „ახალი ძალა“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „თავისუფალი დემოკრატები“, ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“, ბლოკი „ერთი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ქართული ფესვები“, „მეცხედო საქართველო“.

„თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“, „სახალხო პარტია“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედაპ)“, „სოციალური სამართლიანობისათვის“, „გირჩი“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „რეფორმატორები“, „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის), „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“, „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“, „გია ჟორჯოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, „ზვიად მიდიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „არჩევანი სამშობლოსათვის“, „ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი“, „პროგრესული საქართველო“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი“, „ტრადიციონალისტები“, „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“, „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“, მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“, „საქართველოს განვითარების პარტია“ და მაჟორიტარების კანდიდატები: ლუარა ნიჟარაძე, ირმა ნადირაშვილი, დავით კირკიტაძე, პაატა ჯიბლაძე, მიხეილ ქუმისიშვილი, შორენა მამალაშვილი, ილია ლობჯანიძე, გიორგი მაისურაძე, ლაშა მაჭარაშვილი, ბესიკ ჩუბინიძე, ეკატერინე ოქროცვარიძე, მალხაზი გორგასლიძე, ვახტანგი მეგრელიშვილი, ნინო ლაცაბიძე, ზაზა მარგველანი, ალექსანდრე კობაიძე, დავით სუარიშვილი, გრიგოლ გეგელია და გელა ნაკაშიძე. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-4, მე-19, მე-16 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-446-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა (ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი, მოპასუხე - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ, მიღებული იქნეს სასამართლოს წარმოებაში და დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. ადმინისტრაციულ საქმეზე №3-290-20 სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნოს 2020 წლის 7 ნოემბერს, 16:00 საათზე;
3. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს მოპასუხე მხარეს; მოპასუხეს წინამდებარე სარჩელზე შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა 2020 წლის 7 ნოემბრის 11:00 საათამდე;
4. მოპასუხე - №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალოს: 2020 წლის 03 ნოემბრის №057/2020 და 2020 წლის 04 ნოემბრის №060/2020 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების სრული მასალების წარმოდგენა. ასევე, №12.20.05; №12.20.11; №12.20.52; №12.20.61; №12.20.86; №12.20.87 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი და შესწორების ოქმების (დამოწმებული ასლების) და ჩანაწერთა წიგნების წარმოდგენა 2020 წლის 07 ნოემბრის 11:00 საათამდე;
5. №3-290-20 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ:
№20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის №12.20.05; №12.20.11; №12.20.52; №12.20.61;




№12.20.86; №12.20.87 საუბნო საარჩევნო კომისია, ასევე პოლიტიკური პარტიები: (პარტია) „თეთრები“, „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“, „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, „მომავალი საქართველო“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“, „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „მშრომელთა სოციალისტური პარტია“, „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსათვის“, „რეფორმერი“, „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“, „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“, „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“, „ახალი ძალა“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „თავისუფალი დემოკრატები“, ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“, ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ქართული ფესვები“, „შეცვალე საქართველო“, „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“, „სახალხო პარტია“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“, „სოციალური სამართლიანობისათვის“, „გირჩი“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „რეფორმატორები“, „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის), „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“, „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“, „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“, „ზვიად მიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „არჩევანი სამშობლოსათვის“, „ჯონდო ბადათურია - ქართული დასი“, „პროგრესული საქართველო“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, „სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი“, „ტრადიციონალისტები“, „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“, „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“, „ლელო - მამუკა ხაზარაძე“, მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“, „საქართველოს განვითარების პარტია“ და მაჟორიტარების კანდიდატები: ლუარა ნიჟარაძე, ირმა ნადირაშვილი, დავით კირკიტაძე, პაატა ჯიბლაძე, მიხეილ ქუმსიშვილი, შორენა მამალაშვილი, ილია ლობჟანიძე, გიორგი მაისურაძე, ლაშა მაჭარაშვილი, ბესიკ ჩუბინიძე, ეკატერინე ოქროცვარიძე, მალხაზი გორგასლიძე, ვახტანგი მეგრელიშვილი, ნინო ლაცაბიძე, ზაზა მარგველანი, ალექსანდრე კობაიძე, დავით სუარიშვილი, გრიგოლ გეგელია და გელა ნაკაშიძე.

6. განჩინება მესამე პირის ჩაბმის ნაწილში (მეხუთე პუნქტი) შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით საქმეში მესამე პირად ჩაბმული პირების მიერ, საერთო გადაწყვეტილებასთან ერთად.

7. დანარჩენ ნაწილში განჩინება არსაა.

მოსამართლე



ნინო ონიანი